ტუტორის სამუშაოს აღწერა



შპს „ნიუტონის თავისუფალი სკოლა“

თბილისი, 2023 წელი

ტერმინთა განმარტება

1. ტუტორი - სასწავლო წლის განმავლობაში, კონკრეტულ კლასსა და ამ კლასის თითოეულ მოსწავლეზე პასუხისმგებელი პირი.

2. საგნის მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელიც კლასს ასწავლის კონკრეტულ საგანს.

3. კათედრის ხელმძღვანელი - უზრუნველყოფს კათედრის ორგანიზებულად მუშაობას და ჩართულია კათედრაზე მიმდინარე ყველა პროცესში.

4. დისციპლინის ოფიცერი - ადამიანი, რომელსაც შეგიძლიათ მიმართოთ ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა მოსწავლეთა დისციპლინა, დაკარგული ნივთები, მოსწავლეთა უსაფრთხოება.

5. ექიმი - სკოლას ჰყავს ექიმი, რომელიც 09:00 საათიდან 18:00 საათამდე იმყოფება სკოლაში. ნებისმიერი საჭიროების შემთხვევაში, თუ მოსწავლეს აღენიშნება რაიმე ფიზიკური ჩივილი ან თავს ცუდად გრძნობს აუცილებლად უნდა მიმართოთ ექიმს.

6. თავისუფალი საათი -დრო, სადილის დასრულებიდან გაკვეთილის დაწყებამდე, რომელიც უნდა დაგეგმოთ და გამოიყენოთ მოსწავლეების განტვირთვისა და სხვადასხვა უნარების გასავითარებლად.

7. საგაკვეთილო პროცესი - საგაკვეთილო პროცესი I-IV კლასებისათვის იწყება 09:50 საათზე, ხოლო V კლასიდან 09:00 საათზე და გრძელდება 15:00 საათამდე. თითოეული გაკვეთილის ხანგრძლივობა არის 45 წუთი.

8. კლუბები - 15:00-18:00 თამდე. მოსწავლეები, სურვილისამებრ, სარგებლობენ დამატებითი, არჩევითი გაკვეთილებით. კლუბის არჩევა ნებაყოფლობითია, თუმცა თუ მოსწავლეს არჩეული აქვს კლუბი, მნიშვნელოვანია, უზრუნველვყოთ მათზე დასწრება.

9. შესვენება - გაკვეთილებს შორის მოსწავლეებს აქვთ 5 წუთის ხანგრძლივობის შესვენება, რომელიც უნდა გამოიყენონ დასვენებისა და შემდეგი გაკვეთილისთვის მომზადებისთვის. ასევე, მოსწავლეებს დღის განმავლობაში აქვთ 1-საათიანი შესვენება (იხ. თავისუფალი საათი)

10.პიროვნული განვითარების საათი - ტუტორს აქვს კვირაში 1 გაკვეთილი საკუთარ კლასთან, რომელსაც იყენებს კლასისათვის აქტუალური საკითხების განსახილველად. სასურველია, პარალელური კლასის ტუტორები წინასწარ შეთანხმდნენ თემებზე და გააცნონ გეგმა კათედრის ხელმძღვანელს.

11. სამეცადინო საათი - დაწყებითი კლასის მოსწავლეებს აქვთ სამეცადინო საათი. მნიშვნელოვანია, ტუტორმა უზრუნველყოს საკლასო ოთახში მეცადინეობისათვის შესაბამისი გარემო და საჭიროების შემთხვევაში, დაეხმაროს მოსწავლეებს ტექნიკური საკითხების მოგვარებაში.

ზოგადი აღწერა

- კლასის ტუტორი პასუხისმგებელია თავის კლასზე მთელი სასწავლო წლის განმავლობაში;
- ტუტორი, მთელი დღის განმავლობაში არის კლასთან ერთად და უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებასა და ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში;
- ტუტორები უზრუნველყოფენ კლასის მართვას და ეხმარებიან მოსწავლეებს კონკრეტული გამოწვევების გადალახვაში;
- გაკვეთილის მსვლელობისას, ტუტორი ეხმარება მოსწავლეებს, რომლებსაც აქვთ ქცევითი ან სწავლასთან დაკავშირებული თავისებურებები;
- ტუტორი ვალდებულია, საგნის მასწავლებელს დაეხმაროს კლასის მართვასა და საგაკვეთილო პროცესში თითოეული ჯგუფის წევრის მაქსიმალური ჩართულობის მიღწევაში;
- ტუტორი აკვირდება მოსწავლეების ჩართულობას სასწავლო პროცესში და დაკვირვების საფუძველზე მიღებულ მონაცემებს აწვდის მასწავლებელს.
- ტუტორი საგნის მასწავლებელთან კოორდინირებულად უნდა მუშაობდეს და მათი მიზანი უნდა იყოს მოსწავლის სასურველ შედეგზე გაყვანა, მოსწავლის ამჟამინდელი მიღწევის დონიდან გამომდინარე;

- თუ საგნის მასწავლებელი რაიმე მიზეზის გამო ვერ ატარებს გაკვეთილს, ტუტორი ანაცვლებს მას, თუ მისი კომპეტენცია ამის შესაძლებლობას იძლევა;
- ტუტორმა უნდა შეიმუშაოს წლის სამოქმედო გეგმა, სადაც დაგეგმავს თავისუფალ საათსა და სხვა აქტივობებს;
- ტუტორი ჩართული უნდა იყოს მოსწავლეების კლასგარეშე ცხოვრებაში, უნდა დაგეგმოს და განახორციელოს შიდასასკოლო და სკოლის გარეთ ღონისძიებები (საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ფსიქოლოგთან და კათედრის ხელმძღვანელთან შეთანხმებით);
- ტუტორი უნდა ზრუნავდეს საკლასო ოთახის ფიზიკური გარემოს მოწყობაზე, სისუფთავეზე, უსაფრთხოებაზე, საკლასო ინვენტარის შენარჩუნებასა და მის განახლებაზე. მან ოთახი უნდა მოაწყოს საჭირო თვალსაჩინოებებით (კლასის შეთანხმებები, დღის აქტივობების ვიზუალური ბარათების განრიგი და ა.შ).
- ტუტორმა, ყოველი გაკვეთილის დაწყების წინ, უნდა მოამზადოს საკლასო ოთახი და ბავშვები საგაკვეთილო პროცესისთვის, გამართოს ტექნიკა (პროექტორი, ლეპტოპი), მოსწავლეებს სამუშაო მაგიდებზე დაალაგებინოს კონკრეტული გაკვეთილისთვის საჭირო ნივთები, ბავშვებს მიუთითოს და მოაგვაროს, გაკვეთილის დაწყებამდე, ტუალეტთან თუ კვებასთან დაკავშრებული საჭიროებები;
- ტუტორი უნდა ფლობდეს პოზიტიური კომუნიკაციის სტრატეგიებს, რადგან მას მუდმივად აქვს ურთიერთობა მოსწავლეებთან, მშობლებთან და კოლეგებთან. აუცილებელი თვისებებია: პასუხისმგებლობის გრძნობა, პროფესიული კომპეტენცია დაკისრებული მოვალეობის მიმართ,

მოტივირებულობა და ახალი ინფორმაციის მიღებისა და პროფესიული განვითარების მუდმივი სურვილი;

- ტუტორმა შესაძლოა შეასრულოს სკოლისთვის საჭირო სხვა საქმე იმ პერიოდში, როცა მოსწავლეებს აქვთ არდადეგები. კონკრეტულ საქმეს მას განუსაზღვრავს კათედრის ხელმძღვანელი ან ადმინისტრაცია;
- ტუტორი ანგარიშვალდებულია კათედრის ხელმძღვანელთან;
- ტუტორი ვალდებულია დაესწროს კათედრის დადგენილ შეხვედრებს, დაგეგმილ ტრენინგებს, სამუშაო შეხვედრებს და მინიმუმ ორჯერ, ყოველი დღის დასაწყისსა და ბოლოს შეამოწმოს სამსახურის ელ.ფოსტა. (სასურველია, ტუტორს მუდმივი წვდომა ჰქონდეს სამსახურის ელ.ფოსტაზე, რათა დროულად მოახერხოს, რეაგირება ნებისმიერ სიტუაციაში).

ტუტორის ვალდებულებები:

ზოგადი ნაწილი:

- ტუტორის სამუშაო დღე იწყება 9:50 საათზე და სრულდება 18:00 საათზე;
- ტუტორი ვალდებულია, სამსახურში გამოცხადდეს 10 წუთით ადრე;
- ტუტორმა დილით უნდა მიიღოს მოსწავლეები, აღრიცხოს რაოდენობა და ინფორმაცია დასწრების შესახებ, 10:30 საათამდე, ელექტრონულად (google drive)აწოდოს კვებაზე პასუხისმგებელ პირს- ნინო ჯეშიკაშვილს (551991001)

ტუტორმა, საჭიროებისამებრ, უნდა ჩაიბაროს მოსწავლეების კუთვნილი მობილური ტელეფონები, პლანშეტები, აიპადები და სხვა ტექნიკა, შეინახოს კარადაში და დღის ბოლოს დაუბრუნოს (თუკი ხდება

- მ ნივთების არამიზნობრივი გამოყენება ან ხელს უშლის საგაკვეთილო პროცესს); ეს შეთანხმება ვრცელდება დასვენებების დროსაც.

ტუტორი ვალდებულია დაეხმაროს მოსწავლეს პირადი ნივთების მოწესრიგებაში;

ტუტორმა დღის განმავლობაში (კვების, სპორტის გაკვეთილის, ეზოს აქტივობების დროს) რამდენჯერმე

- ენდა გაანიავოს საკლასო ოთახი და ყურადღება მიაქციოს, რომ ჰაერის ტემპერატურა იყოს ოპტიმალური;
-

- ტუტორმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლეების უსაფრთხოება სკოლის გარემოში.
- თუ მოსწავლეს აქვს ნებისმიერი სახის ჩივილი ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, ტუტორმა უნდა მიიყვანოს სკოლის ექიმთან და მისი რეკომენდაციით, შეატყობინოს მშობელს ბავშვის მდგომარეობა.
- სამუშაო დღის ბოლოს, ტუტორმა უნდა გაუშვას მოსწავლეები შინ - ჩასვას ტრანსპორტში ან ჩააბაროს მშობელს; მშობლის დაგვიანების შემთხვევაში, ტუტორი ურეკავს მშობელს, იგებს დაგვიანების მიზეზს და საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეს ტოვებს სკოლის დაცვასთან და უტოვებს მას მშობლის საკონტაქტო ინფორმაციას.
- ტუტორს არ აქვს უფლება მოსწავლე გააყოლოს მისთვის უცხო პირს, მშობლების თანხმობის გარეშე. ტუტორმა უნდა დაურეკოს მშობელს, ჩაიწეროს იმ პირის სახელი, გვარი და ტელეფონის ნომერი, რომელიც მოსწავლეს მოაკითხავს, გადაამოწმოს პირის ვინაობა ემთხვევა თუ არა ჩაწერილ ინფორმაციას და მხოლოდ ამის შემდეგ გააყოლოს ბავშვი.
- მოსწავლეები, პირველიდან მეოთხე კლასის ჩათვლით, არ სარგებლობენ პირველი სართულის კაფეტერიით, რაც უნდა გააკონტროლოს ტუტორმა. პირველი სართულის კაფეტერიით მოსწავლეებს შეუძლიათ ისარგებლონ მხოლოდ მშობლის ან უფროსი დედმამიშვილის თანხლებით.
- ტუტორი უნდა იყოს ორიენტირებული პროფესიულ ზრდაზე, იყოს ჩართული სხვადასხვა ტიპის ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში.
- ტუტორი ვალდებულია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისა და ცვლილებების შესახებ შეუთანხმდეს კათედრის ხელმძღვანელს და მხოლოდ ამის შემდეგ განახორციელოს.

- ტუტორი ვალდებულია დაგეგმოს კვირის აქტივობები და გააცნოს გეგმა კათედრის ხელმძღვანელს.
- ტუტორი ვალდებულია ითანამშრომლოს მოსწავლის მშობელთან და მიაწოდოს ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში, ყოველდღიურად (სოციალურ ქსელში- მშობლების ჯგუფი, ელექტრონული ჟურნალი)
- ტუტორი პასუხისმგებელია დაორგანიზოს კლასის გასვლითი აქტივობები (შემეცნებითი და ჯგუფის შეკვრის).
- ტუტორი ვალდებულია იზრუნოს სკოლის თითოეული მოსწავლის უსაფრთხოებაზე და შესაბამის შემთხვევაში, მოახდინოს დროული რეაგირება და კომპეტენტური პირის ინფორმირება.
- ტუტორმა, ყოველი კვირის ბოლოს, უნდა მიაწოდოს ადმინისტრაციას რეპორტები გასული კვირის შესახებ. რეპორტს აგზავნის შემდეგი ელ.ფოსტის მისამართზე: reporting@newton.edu.ge; სათაურის ველში უთითებს: R 1.2 25.03.2020

მოვალეობები გაკვეთილის მსვლელობისას:

- ტუტორი ვალდებულია დაესწროს გაკვეთილებს, მიიღოს მონაწილეობა საგაკვეთილო პროცესში, დაეხმაროს მოსწავლეებს საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე;
- ტუტორი უნდა დაეხმაროს მასწავლებელს ტექნიკური საკითხების მოგვარებაში; (პროექტორის ჩართვა, სლაიდების ცვლა)
- ტუტორი ვალდებულია დაეხმაროს ბავშვებს გაკვეთილისთვის საჭირო ნივთებისა და რესურსების მოწესრიგებაში და მოამზადოს გაკვეთილისათვის.
- ტუტორმა, საჭიროების შემთხვევაში, უნდა უზრუნველყოს მოსწავლის ფუნქციური მომსახურება (ტუალეტში გასვლა, წყალი და ა.შ)
- ტუტორი ვალდებულია ჩაატაროს გაკვეთილი, როდესაც მას კათედრის ხელმძღვანელი დაავალებს.
- ტუტორი ვალდებულია იხელმძღვანელოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებთან, სკოლის ფსიქოლოგის და სპეციალური პედაგოგის სუპერვიზიის ფარგლებში.

მოვალეობები კვების დროს:

- ტუტორმა უნდა გააკონტროლოს, რომ კვების წინ მოსწავლეებმა დაიბანონ ხელები.
- ტუტორს, დღეში ორჯერ, მოსწავლეები ორგანიზებულად მიჰყავს კაფეტერიაში და კვების დასრულების შემდეგ გამოჰყავს.(2020-21 სასწავლო წლის განმავლობაში ბავშვები იკვებებიან საკლასო ოთახში)
- ტუტორმა უნდა იზრუნოს და ასწავლოს ბავშვებს საკვების მირთევისა და სუფრასთან ქცევის ეტიკეტი.
- ტუტორომა უნდა უზრუნველყოს თითოეული მოსწავლის სრულფასოვანი კვება.

მოვალეობები კლუბების დროს:

- ტუტორი ვალდებულია იცოდეს თითოეული მოსწავლის კლუბი, გადაანაწილოს მოსწავლეები კლუბებში და შეახსენოს მათ კლუბისთვის საჭირო რესურსებისა და ნივთების შესახებ;
- სამეცადინო საათზე, ტუტორი ვალდებულია გააკონტროლოს, რომ საკლასო ოთახში იყოს სიმშვიდე და სამუშაო ატმოსფერო;
- ტუტორმა, საჭიროების შემთხვევაში, დავალებების შესრულებისას მიმართულება უნდა მისცეს მოსწავლეს;
- საჭიროების შემთხვევაში ან საგნის მასწავლებლის დავალებით, ტუტორი ვალდებულია დაეხმაროს

ინდივიდუალურად მოსწავლეს ამა თუ იმ საგანში.

- კლუბის გაცდენის შემთხვევაში, კლუბების მენეჯერი ვალდებულია წინასწარ მოგაწოდოთ ინფორმაცია, რათა თქვენ მოახერხოთ მოსწავლის გამოთავისუფლებული საათის მიზნობრივი დაგეგმვა.
- თუ კლუბის პედაგოგი არ არის საკლასო ოთახში და კლუბის მენეჯერს ამის შესახებ ინფორმაცია არ მოუწოდებია, უნდა დაუკავშირდეთ კლუბების მენეჯერს - ვახო ბარამიძეს (591014364) და მიაწოდოთ ინფორმაცია, მოსწავლეები დააბრუნოთ საკლასო ოთახში და შესთავაზოთ განმავითარებელი აქტივობები ან დავალებების შესრულება.

მოვალეობები თავისუფალ საათზე:

- ტუტორმა უნდა დაგეგმოს თავისუფალი საათი, რათა დასვენება მოსწავლეებისთვის ნაყოფიერი და საინტერესო იყოს; ტუტორმა უნდა წარმოადგინოს თავისუფალი საათების გეგმა კათედრის ხელმძღვანელთან/სკოლის ფსიქოლოგთან.
- თავისუფალ საათზე ტუტორს შეუძლია დაგეგმოს აქტივობები სკოლის ეზოს ტერიტორიაზე (თუკი შესაბამისი ამინდია). ამ დროის განმავლობაში, ტუტორი უნდა იყოს მოსწავლეებთან ერთად და ზრუნავდეს მათ უსაფრთხოებაზე.

- თუ კლასის ინტერესები განსხვავებულია და მოსწავლეები სხვადასხვა აქტივობაში არიან ჩართულნი, ტუტორი ვალდებულია იცოდეს თითოეული მოსწავლის ადგილმდებარეობა, შერჩეული აქტივობა და უზრუნველყოს მათი მეთვალყურეობა და საჭიროების შემთხვევაში, ჩაერიოს.

მშობლებთან ურთიერთობა:

- მშობლებთან ურთიერთობისას ტუტორი უნდა იცავდეს ეთიკის ნორმებს და კონფიდენციალურობას.
- ტუტორი მშობლებთან ურთიერთობისას ყოველთვის უნდა იყოს კოლეგიალური და იცავდეს სკოლისა და მოსწავლის ინტერესებს;
- ტუტორი უნდა დაუკავშირდეს მშობლებს და მიაწოდოს სხვადასხვა სახის ინფორმაცია;
- მშობლებისგან მიღებული ინფორმაცია ყოველთვის უნდა მიაწოდოს საგნის მასწავლებელს;
- ტუტორმა მიზნობრივად უნდა გამოიყენოს სკოლის ელექტრონული ჟურნალი და სოციალურ ქსელში არსებული მშობლების დახურული ჯგუფი.
- ტუტორი მშობელთან ურთიერთობის დროს უნდა იცავდეს სოციალურ ეტიკეტს.
- მნიშვნელოვანია, მშობელს თანმიმდევრულად და კონსტრუქციულად მიაწოდოს ინფორმაცია მისი შვილის ქცევისა და მიღწევების შესახებ. მშობელი უნდა გრძნობდეს, რომ ტუტორი ცენტრირებულია ბავშვზე;
- მშობლებთან ურთიერთობის პროცესში ტუტორი ვალდებულია იყოს სკოლის შინაგანაწესის თანმიმდევრული (არ უნდა დაეთანხმოს მშობელს, რომელიც ითხოვს წესის დარღვევას).

შესვენება:

- სამუშაო დღის განმავლობაში ტუტორს ეძლევა 1 საათი შესვენება, რომელსაც სურვილისამებრ გამოიყენებს.
- აღნიშნული შესვენება უნდა შეთანხმდეს კათედრის ხელმძღვანელსა და საგნის მასწავლებელთან;
- შესაძლებელია, კვირის განმავლობაში დასვენების საათი ერთსა და იმავე დროს არ იყოს.

ანგარიშვალდებულება:

- ტუტორი ანგარიშვალდებულია კათედრის ხელმძღვანელთან;
- სამუშაოს გაცდენის შემთხვევაში ტუტორმა აუცილებლად უნდა შეატყობინოს კათედრის ხელმძღვანელს მინიმუმ ერთი დღით ადრე;
- თუკი გაცდენის შესახებ არ მოხდა კათედრის ხელმძღვანელის ინფორმირება გონივრულ ვადაში, ტუტორს გამოუცხადდება საყვედური.
- ტუტორმა ნებისმიერი პრობლემის წამოჭრის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს საგნის მასწავლებელს, სკოლის ფსიქოლოგს ან/და კათედრის ხელმძღვანელს.

სამოქმედო გეგმა კონკრეტულ სიტუაციებში

სიტუაცია	რას მოვიმოქმედებთ?
თუ აცდენთ სამსახურს	• უნდა შეატყობინოთ ელ.ფოსტით კათედრის ხელმძღვანელს მინიმუმ ერთი დღით ადრე და აუხსნათ გაცდენის მიზეზი; • თუ არ მიიღებთ მის პასუხს, უნდა დაურეკოთ და პირადად გააფრთხილოთ.
თუ გაკვეთილზე არ შემოვიდა მასწავლებელი	• 5 წუთის შემდეგ ურეკავთკათედრის ხელმძღვანელს და ატყობინებთ, რომ მასწავლებელი არ არის კლასში; • იქცევით კათედრის ხელძღვანელის ინსტრუქციის შესაბამისად.
	• ატყობინებთ კლუბების მენეჯერს ტელეფონით

თუ რომელიმე კლუბი ცდება	• მოსწავლე შემოგყავთ საკლასო ოთახში და სთავაზობთ გაკვეთილების მომზადებას.
თუ მოსწავლე იგვიანებს პირველ გაკვეთილზე	• ვუახლოვდებით და საუბრის გარეშე, ვეხმარებით გაკვეთილისთვის მოწესრიგებაში; • თუ დაგვიანება ხშირია, ვუკავშირდებით მშობელს, ვეკითხებით დაგვიანების მიზეზს და ვთხოვთ, რომ შეეცადოს აღარ დააგვიანოს, რადგან ეს ხელს უშლის საგაკვეთილო პროცესს.

თუ მოსწავლეს აღმოუჩინეთ ნივთი, რომელიც არ უნდა ჰქონდეს სკოლაში	• თუ აღმოაჩნდა დანა ან მსგავსი ტიპის იარაღი, ვართმევთ და ინფორმაციას ვაწვდით დისციპლინის ოფიცერს (ნივთსაც მას გადავცემთ) • თუ აღმოაჩნდა სხვა ნივთი, რომელიც არ არის სახიფათო სხვებისთვის, მაგრამ სკოლაში მისი ტარება ხელს უშლის საგაკვეთილო პროცესს, ამ შემთხვევაში, გამოვართმევთ მოსწავლეს ნივთს, მაგრამ დღის ბოლოს ვუბრუნებთ და ვთხოვთ, აღარ მოიტანოს, მშობელსაც ვატყობინებთ; • თუ ფაქტი განმეორდა, გამოვართმევთ და მხოლოდ მშობელს ვუბრუნებთ
თუ მოსწავლეს გაკვეთილზე დაურეკა მობილურმა	• გამოვართმევთ ტელეფონს, ვახსენებთ შეთანხმებას და დღის ბოლოს ვუბრუნებთ • თუ განმეორდება ფაქტი, გამოვართმევთ ტელეფონს, ვატყობინებთ მშობელს და მხოლოდ მშობელს ვუბრუნებთ

ტელეფონმა, ან თამაშობს	
თუ მშობელი გირეკავთ და გთხოვთ, შუა გაკვეთილიდან გაუყვანოთ ბავშვი	• მშობელს სთხოვთ, მოითმინოს გაკვეთილის დასრულებამდე, რადგან გაკვეთილიდან მოსწავლის გაყვანა ხელს შეუშლის საგაკვეთილო პროცესს; • თუ დაჟინებით მოითხოვს, გამოიყვანეთ და სთხოვეთ, რომ სხვა დროს წინასწარ გაგაფრთხილოთ, რომ მოამზადოთ მოსწავლე წასასვლელად, რათა ხელი არ შეუშალოს სხვებს.
თუ მშობელი გირეკავთ და გთხოვთ, დავალება მიაწოდოთ sms-ით ან ელ.ფოსტით	• უგზავნით დავალებას და თან შეახსენებთ, რომ დავალებები სისტემატურად იტვირთება ელექტრონულ ჟურნალში და შეუძლია იქ გადაამოწმოს. • თუ ამას სისტემატური ხასიათი აქვს, შეგიძლიათ აღარ მიაწოდოთ და პირდაპირ მიუთითოთ, ნახოს ჟურნალში • თუ ვერ შედის საიტზე, უნდა დაუკავშირდეს ცხელ ხაზს, რომელიც მითითებულია საიტზე

თუ მოსწავლეს სკოლაში მოაქვს საკვები	• მშობლებთან წინასწარ ვთანხმდებით, რომ მოსწავლეებს სკოლაში არ მოაქვთ ჩიფსები, ჟელიბონები, გაზიანი სასმელები, სწრაფი კვების ობიექტებში მომზადებული საკვები • მოსწავლეების იკვებებიან მხოლოდ კვებისთვის განკუთვნილ დროებში • მოტანილმა საკვებმა არ უნდა გამოიწვიოს დისკომფორტი/დისონანსი საკლასო ოთახში
თუ კლასში რამე გაფუჭდა	• გაფუჭდა საკეტი, გადაიწვა ნათურა, რადიატორს წყალი გასდის და სხვ. სასწრაფოდ ატყობინებთ სამეურნეო მენეჯერს - დავით გულარაშვილს 593519939

თუ ინვენტარს აფუჭებს მოსწავლე	• რა თქმა უნდა, ვუთითებთ კონკრეტულ ქცევაზე და ვთხოვთ, თავად აღადგინოს დაზიანებული ნივთი/საგანი • თუ ისე გააფუჭა, რომ თვითონ ვერ გამოასწორებს, მაგ.: გატეხა სკამი, სთხოვთ სამეურნეო მენეჯერს ნივთის შეკეთებას და მოსწავლეს, შეძლებისდაგვარად, რთავთ ამ პროცესში. • თუ მოსწავლემ ინვენტარი მიზანმიმართულად გააფუჭა, ვუკავშირდებით მშობელს და ვატყობინებთ ვითარებას
თუ ბავშვი მიმართავს არასასურველ ქცევას	• მიმართეთ სკოლის ფსიქოლოგს და მისი უკუკავშირის შემდეგ მოახდინეთ ინტერვენცია.
თუ მშობელი უხეშად მოგმართავთ	• ინარჩუნებთ სიმშვიდეს, არ შედიხართ კონფლიქტში და ამისამართებთ ადმინისტრაციასთან.
თუ მშობელი გეკითხებათ ისეთ რამეს, რაც არ იცით	• ეუბნებით, რომ გაარკვევთ და მიაწვდით ინფორმაციას; • ან ამისამართებთ კათედრის ხელმძღვანელთან, მშობლებთან ურთიერთობის სამსახურში ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე

	თანამშრომელთან.
თუ მოვიდა უცხო ადამიანიდა უნდა ბავშვის წაყვანა	• ეკითხებით სახელსა და გვარს, შემდეგ ურეკავთ ბავშვის მშობელს, ატყობინებთ მის ვინაობას და თუ მშობელი დაგიდასტურებთ, რომ მისი გამოგზავნილია, გაუშვებთ ბავშვს • მშობელს სთხოვთ, სხვა დროს წინასწარ შეგატყობინოთ

საკლასო ოთახში ოპტიმალური ტემპერატურის შესანარჩუნებლად	• შეამოწმეთ რადიატორი, თუ ძალიანაა აწეული, დაუწიეთ, 3-5 წუთით გაანიავეთ ოთახი ისე, რომ ბავშვები არ შეაწუხოს სიცივემ • შეგიძლიათ ჩართოთ კონდიციონერი ისე, რომ ბავშვებს არ შეექმნათ დისკომფორტი.
თუ რომელიმე ბავშვმა რამე დაიშავა შესვენებაზე	• გვერდითა კლასის ან შემცვლელ ტუტორს სთხოვთ მიხედოს დანარჩენ მოსწავლეებს, თქვენ კი მოსწავლე მიგყავთ ექიმთან • თუ ექიმი ჩათვლის, რომ მარტო გაუმკლავდება, თქვენ დაბრუნდებით კლასში და მოსწავლე თვითონ დაბრუნდება • თუ ექიმი ჩათვლის, რომ სასწრაფოდ მშობელს უნდა შეატყობინოთ, თქვენ ასეც იქცევით, მშობლის მოსვლამდე ბავშვი რჩება ექიმთან, თქვენ ბრუნდებით კლასში, ბავშვის ნივთებს აგროვებთ და მიგაქვთ ექიმის კაბინეტში, რათა ბავშვმა წაიღოს.

თუ დაზიანდა ჟურნალი	• კლასის ჟურნალი მნიშვნელოვანი დოკუმენტია, ამიტომ ტუტორი უნდა უფრთხილდებოდეს მას, მაგრამ თუ რაღაც დაუზიანდება, სასწრაფოდ უნდა აჩვენოს კათედრის ხელმძღვანელს, რომელიც თავად გადაწყვეტს შემდგომ ნაბიჯებს
თუ თვლით, რომ ბავშვს ფსიქოლოგის დახმარება სჭირდება	• სწერთ მეილს ფსიქოლოგს, სადაც კონკრეტულად უხსნით სიტუაციას; • საჭიროების შემთხვევაში, ფსიქოლოგი დაგეგმავს მოსწავლესთან შეხვედრას, მოგწერთ შეხვედრის დროს და თქვენ უზრუნველყოფთ, რომ ბავშვი დანიშნულ დროს მივიდეს ფსიქოლოგთან. • მოსწავლესთან შეხვედრამდე ფსიქოლოგი თავად დაეკონტაქტება მშობელს; • თუ ფსიქოლოგი არ ჩათვლის საჭიროდ ბავშვის პირადად ნახვას, მოგწერთ

	კონსულტაციას მეილით, რომლითაც იხელმძღვანელებთ მხოლოდ ფსიქოლოგისა და კათედრის ხელმძღვანელის პასუხისა და რეკომენდაციის შესაბამისად ატყობინებთ მშობელს კონკრეტული შემთხვევის შესახებ.
როდესაც გსურთ, ინფორმაცია მიაწოდოთ მშობლებს	შედიხართ თქვენს ანგარიშზე ელექტრონულ ჟურნალსა და ფეისბუქის დახურულ ჯგუფში და უგზავნით შეტყობინებას; სთხოვეთ, ინფორმაციის მიღების დადასტურება იმ მშობლებს, რომლებიც არ გიდასტურებენ ინფორმაციის მიღებას, უკავშირდებით ტელეფონზე.
თუ მშობლები გთხოვენ, შეახვედროთ ადმინისტრაციას	პასუხობთ, რომ ადმინისტრაციის წევრებთან შეხვედრა არ არის პრობლემა, საჭიროა წინასწარ დაგეგმვა ამ შეხვედრის, რასაც უზრუნველყოფს მშობლებთან ურთიერთობის სამსახური და გადაამისამართებთ მათთან.

თუ მოსწავლეს აქვს ფული	ჩამოართვით, რომ არ დაკარგოს და დღის ბოლოს დაუბრუნეთ; მშობელს სთხოვეთ, რომ სხვა დროს თანხა არ გამოატანოს სკოლაში თუ მოსწავლეს აქვს თანხა კონკრეტული საჭიროებისა და ფუნქციური დანიშნულებისთვის, მშობელი ვალდებულია გააფრთხილოს ტუტორი.
თუ ეზოში გაიყვანეთ ბავშვები და თვალთახედვიდან დაკარგეთ რომელიმე	გადაამოწმეთ კლასში ხომ არ ავიდა; თუ ისევ არ გამოჩნდა, დაუყოვნებლივ აცნობეთ დისციპლინის და დაცვის სამსახურს
თუ ამ ჩამონათვალში არ არის პუნქტი, რომელიც გაინტერესებთ	თუ მოხდა ისეთი რამ, რაც არაა გათვალისწინებული ამ ჩამონათვალში, მიმართეთ კათედრის ხელმძღვანელს

საკონტაქტო პირები:

რა შემთხვევაში ვუკავშირდებით?	**სახელი და გვარი**	**ელ.ფოსტა**	**ტელეფონის ნომერი**
ნებისმიერი შეკითხვის ან/და საჭიროების შემთხვევაში	თეა ბერიძე	t.beridze@newton.edu.ge	593376437
როდსაც გჭირდებათ ფსიქოლოგის ჩართულობა	ანა მიქიაშვილი ფსიქოლოგი	a.mikiashvili@newton.edu.ge	598195450
როდესაც გჭირდებათ სპეც. მასწავლებლის ჩართულობა	მარიამ აზარაშვილი	m.azarashvili@newton.edu.ge	591105525
როდესაც გჭირდებათ ფსიქოლოგის ჩართულობა	მედეა ბარბარიანი ფსიქოლოგის	m.barbariani@newton.edu.ge	595 51 29 13

	ასისტენტი		
ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით	დავით გულარაშვილი		593519939
კვებასთან დაკავშირებულ საკითხებზე	ნინო ქეშიკაშვილი		551991001
კლუბებთან დაკავშირებით	ვახტანგ ბარამიძე	v.baramidze@newton.edu.ge	591014364
ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით	თეონა ოძელაშვილი	t.odzelashvili@newton.edu.ge	577794144
ტრანსორტირებასთან დაკავშირებით	ირაკლი წოტოიძე	i.tsotoidze@newton.edu.ge	599219219
ღონისძიებებთან დაკავშირებით	ლუკა ზედაშიძე	l.zedashidze@newton.edu.ge	596 07 55 07
დისციპლინსათან, უსაფრთხოებასთან და დაკარგულ ნივთებთან	თამარ ქავთარაძე	t.kavtaradze@newton.edu.ge	555428228

დაკავშირებით			

- კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში, შეგიძლიათ მშობელს მისცეთ შესაბამისი საკონტაქტო პირის **ელექტრონული ფოსტის მისამართი.**